ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N36

სოფ. წინამძღვრიანთკარი **თებერვალი 2023 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი (შემდგომში - შემსყიდველი), მისი დირექტორის თეიმურაზ ასათიანის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ,,გიო კომპანი'' (შემდგომში- მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი ლავრელაშვილის სახით ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტისა და სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სამეურნეო მართვის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათების N1066745 (13/09/2022), 1173423 (28/09/2022) საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია „სახელმწიფო ბიუჯეტის“ დაფინანსების ფარგლებში, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამეურნეო ინვენტარის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. შესყიდვის ობიექტია:

CPV კოდები	დასახელება	განზომილება	რაოდ.	ფასი	ჯამი
16160000 სხვადასხვა აღჭურვილობა მებაღეობისთვის	მებაღის ხელსაწყოების ნაკრები 3 pc	ცალი	1	29.00	29.00
სულ კოდზე:					29.00
16311000 მოლის საკრეჭი მანქანები	ბუჩქის საკრეჭი მაკრატელი 21" (ORIENT)	ცალი	2	40.00	80.00
	მექანიკური სათიბი HECHT REEL MOWER HECHT5030	ცალი	1	240.00	240.00
სულ კოდზე:					320.00
18141000 სამუშაო ხელთათმანები	ხელთათმანი ლატექსი	ცალი	24	1.50	36.00
	ხელთათმანი ლატექსი	ცალი	12	1.63	19.50
სულ კოდზე:					55.50
19500000 რეზინისა და პლასტმასის მასალები	პლ. მილის ფიტინგი (ვინტილი) Ø20*1/2 ბურთულიანი (თეთრი)	ცალი	6	13.50	81.00
	თითბერის სამკაპი 1/2	ცალი	2	7.00	14.00
	სამკაპი 1/2F*1/2M*1/2F	ცალი	2	7.00	14.00
	რეზინის სამშენებლო სათლი 75ლ. CAP-75	ცალი	1	35.00	35.00

	MD04 პლასტმასის სარწყავი ფიტინგი 4-იანი	ცალი	2	12.00	24.00
	MD07 პლასტმასის სარწყავი დაბოლოვება 5-იანი	ცალი	1	12.00	12.00
	პლასტმასის უთო (პატარა)	ცალი	1	50.00	50.00
სულ კოდზე:					230.00
31660000 ნახშირის ელექტროდი	ელექტროდი Magmaweld Rutil Welding Electrode ESR 13 - 3.25 x350 (mm) -3.36	ცალი	5	29.40	147.00
სულ კოდზე:					147.00
34911100 ურიკები	ურიკა ახალი	ცალი	2	120.00	240.00
34928480 ნარჩენებისა და ნაგვის კონტეინერები და ყუთები	ნაგვის ურნა 120ლტ	ცალი	1	150.00	150.00
სულ კოდზე:					390.00
38300000 საზომი ხელსაწყოები	ლაზერული დისტანციური საზომი 60 მ (ORIENT)	ცალი	1	130.00	130.00
	საზომი რულეტი 20მ (ORIENT)	ცალი	2	32.00	64.00
	ხის სასინჯი აპარატი	ცალი	1	55.00	55.00
	საზომი რულეტი 50m	ცალი	2	40.00	80.00
სულ კოდზე:					329.00
42675100 ბენზოხერხის ნაწილები	ჯაჭვური ხერხი ბენზინზე მომუშავე 58CC 2.8 KW (RODEX)	ცალი	1	300.00	300.00
სულ კოდზე:					300.00
42923200 სასწორები	ელექტრო სასწორი 700E	ცალი	1	15.00	15.00
სულ კოდზე:					15.00
43132300 ბურღები	ბენზინზე მომუშავე მიწის საბურღი აპარატი 52CC/2HP 80-200MM (RODEX)	ცალი	1	500.00	500.00
	მიწის საბურღი ხელსაწყოს პირი 80MM (ROTHER)	ცალი	1	78.00	78.00
სულ კოდზე:					578.00
43323000 საირიგაციო/სარწყავი აღჭურვილობა	სარწყავი მილი ძაფით3/4(005)	მეტრი	50	3.00	150.00
	სარწყავი სამარჯვე (ფითინგებით 5ც)	ცალი	3	15.00	45.00

	შესასხურებელი 2ლ	ცალი	1	15.00	15.00
	შესასხურებელი 16 ლ	ცალი	1	65.00	65.00
სულ კოდზე:					275.00
43810000 ხის დასამუშავებელი მოწყობილობა	ხის საჭრელი დისკი 250*30 40 კბ	ცალი	4	63.00	252.00
სულ კოდზე:					252.00
44317000 რკინის ან ფოლადის ბაგირები	ტროსის მომჭერი 3მმ	ცალი	40	0.35	14.00
	ტროსის დამჭიმი M8	ცალი	40	3.40	136.00
	ლითონის ტროსი 4მმ	კილოგრამი	60	0.75	45.00
44333000 მავთული	გამომწვარი მავთული 1,5მ	კილოგრამი	2	5.45	8.18
სულ კოდზე:					203.18
44424200 წებოვანი ლენტები	იზოლენტა 17mm*20m	ცალი	10	2.00	20.00
სულ კოდზე:					20.00
44511000 ხელის ხელსაწყოები	კასრისებული ქანჩი (ბაჩონკა) 1/2 M x 1/2 M	ცალი	6	2.00	12.00
	სასხლავი ხერხი ტარით	ცალი	1	360.00	360.00
	ფოცხი რკინის ტარით	ცალი	5	15.00	75.00
	WRQ1 წერაქვი	ცალი	2	25.00	50.00
	ხელის ხერხი 18"	ცალი	5	19.00	95.00
სულ კოდზე:					592.00
სულ კოდზე:					3735.68

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 3735.68 (სამი ათას შვიდას ოცდათხუთმეტი ლარი და 68 თეთრი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი, ხოლო მიწოდების თარიღი – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.
4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
4.4. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2. ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებასა და კონტროლს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი ირაკლი კუპატაძე.
5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.
8.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
8.4 მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
8.5 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

8.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.7 შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ მიწოდების საბოლოო ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.8 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით;

8.9. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებლის მიზეზით შეუძლებელია შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

8.10 ამ მუხლის 8.7 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება;

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2023 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირი ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა წინამდებარე ხელშეკრულების ინსპექტირების და კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებლის მიმართ ინტერესთა კონფლიქტში არ იმყოფება

_____.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი"; ქ. მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი; საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851 სახელმწიფო ხაზინა; კოდი: TRESGE22; ელ. ფოსტა: tmkcollege@tmk.edu.ge; მობ.: 577-21-50-90; 577-21-50-91;

დირექტორი თეიმურაზ ასათიანი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. ,,გიო კომპანი"; ს/ნ: 400115219; მისამართი: თბილისი, თემქა, III მ/რ, V კვ., კორპ. 1, ბინა 30; საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,პროკრედიტ ბანკი; ბანკის კოდი:MIBGGE22; ანგ.ნომერი: GE84PC0223600100012356

დირექტორი გიორგი ლავრელაშვილი

(ხელმოწერა)